ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

---- ნოემბერი, 2026წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის №407 - №417 პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართი (კვ.მ.)	შენობის ფართი (კვ.მ.)
407	ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №90ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.16.031	115	—
408	ქ. ბათუმი, მახვილაურის ქ. №23ა	სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.33.780	4	—
409	ქ. ბათუმი მიხეილ შარაშიძის ქ. №52ბ-ს მიმდებარედ	სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.07.1018	166	—
410	ქ. ბათუმი, მაქაცარიას ქ. № 9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.07.158	94	—
411	ქ. ბათუმი, დავით კაკაბაძის ქ. №26-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.21.718	103	—
412	ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №60	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.01.032	58	41.60
413	ქ. ბათუმი, ჩაქვი, თამარ მეფის გამზირი, ქ. №47-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.33.21.572	252	—
414	ქ. ბათუმი, (ჩაქვი) თამარ მეფის გამზირი, ქ. №47-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.33.21.574	434	—
415	ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი ქუჩა თამარ მეფე №74ბ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.33.21.509	103	—
416	ქ. ბათუმი დასახლება ანგისა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.12.259	315	—
417	ქ. ბათუმი დასახლება ანგისა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.12.262	150	—

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის №407 - №417 პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
407	ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №90ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.16.031	115	—	135700	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
408	ქ. ბათუმი, მახვილაურის ქ. №23ა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.33.780	4	—	2000	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
409	ქ. ბათუმი მიხეილ შარაშიძის ქ. №52ბ-ს მიმდებარედ	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.07.1018	166	—	32100	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
410	ქ. ბათუმი, მაქაცარიას ქ. № 9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.07.158	94	—	226500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
411	ქ. ბათუმი, დავით კაკაბაძის ქ. №26-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.21.718	103	—	76500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
412	ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №60	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.01.032	58	41.60	283500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
413	ქ. ბათუმი, ჩაქვი, თამარ მეფის გამზირი, ქ. №47-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.33.21.572	252	—	111500	პირობებიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
414	ქ. ბათუმი, (ჩაქვი) თამარ მეფის გამზირი, ქ. №47-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.33.21.574	434	—	183600	პირობებიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
415	ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი ქუჩა თამარ მეფე №74ბ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.33.21.509	103	—	45600	პირობებიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
416	ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.12.259	315	—	494500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
417	ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.12.262	150	—	237400	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ხოლო პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება:

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

ე) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ვ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ზ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**